სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№ 77

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი თავმჯდომარის ლევან მეხუზლას სახით და მეორე მხრივ, შპს „ვი აი პი - ბი თი სი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მარიამ გორგაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების და 2023 წლის 16 მარტის №401-03 და 2023 წლის 17 მარტის №425-03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ქვეპროგრამა: ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები) ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, გერმანიიდან სტუმრად მოწვეული კომპანია „ff.k Public Relations”-ის დირექტორის (მაიკე ფრერსი), ერთი წარმომადგენლისა და გაყიდვების სექტორის 6 (ექვსი) წარმომადგენლისთვის (სულ 8 (რვა) ადამიანი) ავიასატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV- 60400000 კოდი).მომსახურების ღირებულებები მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2023 წლის 17 აპრილიდან - 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
მომსახურების გაწევის კონკრეტული ვადები მითითებულია დანართი №1-ში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 19 887.00 (ცხრამეტი ათას რვაას ოთხმოცდაშვიდი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიის მთავარი სპეციალისტი - ნინო მჭედლიშვილი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ მომსახურების წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ კონკრეტული მიმართულების ავიარეისზე ადგილის გამოყოფა.

9.4 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან ან ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობისგან, მათ შორის შემსყიდველისთვის წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით და ხელმოწერილია ელექტრონული ხელმოწერით ან/და დამოწმებულია ელექტრონული შტამპით.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარე
ლევან მეხუზლა

ს/კ 204446965
იურიდ. მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ. TRESGE22; **ა/ა** 200122900
ტელ.: 297 41 03

<u>მიმწოდებელი</u>

შპს „ვი აი პი - ბი თი სი"

გენერალური დირექტორი
მარიამ გორგაძე

ს/კ 202059253
იურიდ. მის.: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N 67
ფაქტ. მის.: თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №39ბ
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,ბაზის ბანკი"
ბ.კ. CBASGE22
ა/ა GE45BS0000000000536345
ტელ.: 2 33 39 99; +995595 501 501; +995595 507 799.

ლევან მეხუზლა

მარიამ გორგაძე

LEPL National Wine Agency

Digitally signed by LEPL National Wine Agency
Date: 2023.03.22 10:14:45 +04'00'

დანართი №1

1. გერმანიიდან სტუმრად მოწვეული კომპანია „ff.k Public Relations”-ს დირექტორის (მაიკე ფრერსი), ერთი წარმომადგენლისა და გაყიდვების სექტორის 6 (ექვსი) წარმომადგენლისთვის (სულ 8 (რვა) ადამიანი) ავიასატრანსპორტო მომსახურება.				
№	მგზავრი სახელი და გვარი	მგზავრობის (გამომგზავრება/გამგზავრება) თარიღები	რეისი (ეკონომ კლასის ავიაბილეთები)	ღირებულება (ლარი)
1	Michaela Daffner	17.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ფრანკფურტი.	**2685.00**
2	Philipp Siddle	18.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ჰამბურგი.	**2339.00**
3	Felix Frommherz	17.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ჰამბურგი.	**2517.00**
4	Anton Felix Sterly	18.04.2023-30.04.2023	ბერლინი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ბერლინი.	**1915.00**
5	Juliane Opitz	18.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ჰამბურგი.	**2339.00**
6	Kerstin Wiebersiek	18.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ჰამბურგი.	**2517.00**
7	Philipp Nikola Hawrane	18.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ჰამბურგი.	**2517.00**
8	Meike Frers	18.04.2023-23.04.2023	ჰამბურგი - მიუნხენი - თბილისი - მიუნხენი - ჰამბურგი.	**3058.00**
ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით				**19 887.00 ₾**

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
თავმჯდომარე

ლევან მეხუზლა

<u>მიმწოდებელი</u>

შპს „ვი აი პი - ბი თი სი“
გენერალური დირექტორი

მარიამ გორგაძე

LEPL National Wine Agency
Digitally signed by LEPL National Wine Agency
Date: 2023.03.22 10:15:01 +04'00'